დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის - პაატა ყულიაშვილის 2023 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის წლიურ ანგარიშს

როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკა, მისი მიზნები, ამოცანები, პრინციპები და განვითარების პრიორიტეტები. საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნისკენ. სამოქმედო გეგმით დეტალურადაა გაწერილი საბჭოს მიზანი, თითოეული მიზნის შესაბამისად - ამოცანები, საქმიანობა, (საქმიანობის სახეობები), საქმიანობის ინდიკატორები, საქმიანობაზე პასუხისმგებელი ორგანო/ები, პარტნიორი უწყებები, შესრულების ვადები და სხვა. საბჭო, სამოქმედო გეგმის საფუძველზე შემუშავებული ღონისძიებების საშუალებით, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციას, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და სხვა.

მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, მონაწილეობა მივიღე სხვადსხვა ღონისძიებებსა და საინფორმაციო კამპანიებში, საბჭოს წევრებთან ერთად მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარდა სულ 4 სხდომა.

საბჭოს ინიციატივით მუნიციპალურ სოციალურ ქვეპროგრამებს დაემატა ქვემოთჩამოთვლილი ახალი ქვეპროგრამები:

1. 18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2023 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა
2. ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების 2023 წლის ქვეპროგრამა
3. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო სტატუსის მქონე მრავალშვილიანი (არასრულწლოვანი) ოჯახების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა
4. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა.
5. ასევე 2024 წლის სოციალურ პროგრამებს დაემატა ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით (პროგრამული კოდი 06 02 09)

რომლის მიზანია, დმანისში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ქალთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების გზით.

საბჭოს წევრების მიერ განხილული და შემდგომ საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2024 წლის გენდერული ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც გაიხარჯება დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ასევე, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობა მივიღე სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ „გენდერული თანასწორობისა და სექსუალური შევიწროების“ საკითხებთან დაკავშირებულ შეხვედრაზე, სადაც იმსჯელეს ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების ხელმისაწვდომობასა და მხარდამჭერი ღონისძიებების აუცილებლობაზე.

გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ქალბატონებს შეხვედა, საბჭომ გააცნო და ისაუბრა როგორც მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების, ისე საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამების შესახებ.

საბჭომ დმანისის მუნიციპალიტეტში მომხდარი ფაქტის - არასრულწლოვანი გოგონას მკვლელობასთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა, სადაც ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციაზე, არასრულწლოვნის უფლებათა დაცვასა და სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებაზე ისაუბრა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ჩართულობით „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ძუძუს კიბოს ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიება ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში დმანისში მცხოვრებ ქალბატონებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები.

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პოეტი ქალბატონის ნინო ჭელიძის ლიტერატურული საღამო გაიმართა, სადაც მოწვეული იყვნენ გენდერული საჭოს წევრები, მუნიციპალიტეტის მერი, პოეტი ქალბატონები, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, პედაგოგები.

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოც შეუერთდა 16 დღიან კამპანიას, რომელიც აღინიშნება მსოფლიოს 187 ქვეყანაში და მისი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად.

საბჭოს ორგანიზებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, მერიის თანამშრომლებსა და სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.